

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი № 22

თბილისი

15.09.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

**საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:**

კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

ნინო მოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:**

პეტრე წურწუშია - დირექტორის მოადგილე

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

მარინე ყვანია - საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;

ლალი შაიშველაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე;

ქეთევან ფანჩულძე - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი

სალომე ფრუიძე - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ნინო ბერელიძე - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ შუდრა - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ანა ბურჯუკური - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სპეციალისტი.

**ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:**

1. შპს - „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე ქეთევან ნატროშვილი;

2. შპს - მეექვსე საავტორო სკოლის დირექტორი ავთანდილ სვიმონიშვილი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ნინო რამიშვილი;

3. შპს - უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება „გოცის“ დირექტორი ოთარ გოცირიძე;

4. შპს - ალსოს პარტნიორი ელიზა მათიაშვილი;

5. შპს - ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი იოსებ მათიაშვილი, თანამშრომლები - ილია მათიაშვილი, თამარ აბულაშვილი;

6. შპს - „სიოს“ წარმომადგენლები: გ. სორდია ს. ნემსიწვერიძე, ი. მიქაუტაძე;

7. შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორი კიტა ჭაჭაიაშვილი;

8. შპს - „ცხუმ-ვერისის“ დირექტორი გელა მამფორია;

9. შპს - ზუგდიდის სამედიცინო პროფესიული სასწავლო ცენტრის დირექტორი მათუთა უბილავა;

10. შპს - ტურიზმისა და სპორტის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნესტან აბსავა;

11. შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორი ირაკლი გომელაური, დირექტორის მოადგილე ნინო გომელაური;

12. შპს - ბარაკონის დირექტორი გიორგი ფოფხაძე;

13. შპს - I.L Comp-ის დირექტორი ლია ჯახველაძე;

14. შპს - მე-3 სამედიცინო პროფესიული სასწავლო ცენტრის დირექტორი მამუკა გოლეთიანი;

15. შპს - „გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +“-ის დირექტორი ნანა ბეროშვილი;

16. შპს - აბაშის საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი ლელა ჟორჟოლიანი.

**ავტორიზაციის ექსპერტი:**

ნინო ფეტვიაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19<sup>30</sup> სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს - „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. შპს - მეექვსე საავტორო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. პროფესიული კოლეჯის სტატუსის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

- შპს - უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება „გოცი“;

- შპს - „ალსო“;

- შპს - „ილია“ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება;

- შპს - „სიო“;

- შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი;

- შპს - „ცხუმ-ეგრისი“;

- შპს - ზუგდიდის სამედიცინო პროფესიული სასწავლო ცენტრი;

- შპს - ტურიზმისა და სპორტის უნივერსიტეტი;

- შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯი;

- შპს - ბარაკონი;

- შპს - LL & Comp;

- შპს - მე-3 სამედიცინო პროფესიული სასწავლო ცენტრი;

- ა(ა)იპ - ინდიგო;

- შპს - ინტელექტი;

- შპს - „გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +“;

- შპს - აბაშის საგანმანათლებლო ცენტრი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობები არ ყოფილა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.



## **1. შპს - „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ქეთევან ფანჩულიძემ, აღნიშნა, რომ დასკვნა დადებითია და ყურადღება გაამახვილა ფართთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებაზე:

1.1 თბილისში, ქეთევან წამებულის №23-ში მდებარე შენობები ეკუთვნოდა 34-ე საჯარო სკოლას, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს - „ქართულ სასწავლებელ - თბილისის“ შორის 2011 წლის 6 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად საკუთრებაში გადაეცა შპს „ქართულ სასწავლებელ - თბილისის“. აღნიშნულ მისამართზე განთავსებულია ორი შენობა. ძირითადი შენობა 2 229.00 კვ. მ., რომელშიც მამიებელი, ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში, გეგმავს სასწავლო პროცესის განხორციელებას. აღნიშნულ შენობაში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რომლებიც ხელშეკრულების თანახმად, დასრულდება მიმდინარე წლის 25 სექტემბერისათვის. ამის გამო სასწავლო პროცესი დაიწყება მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს. მეორე მშენებარე შენობა 616.56 კვ. მ.-ია. ის შენდება შპს „ბიჯის“ მიერ შესრულებული პროექტის თანახმად. მშენებლობის დასრულების შემდეგ შენობა გატარდება საჯარო რეესტრში, როგორც შპს „ქართულ სასწავლებელ - თბილისის“ საკუთრება.

ამასთან, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, რომელიც გაცემულია 2011 წლის 13 ივლისს, ირკვევა, რომ შპს - ქართული სასწავლებელი თბილისის საკუთრების უფლებით ფლობს ქ. თბილისში ქეთევან წარმებულის გამზ. 23-ში განთავსებულ შენობა-ნაგებობებს, რომელთა საერთო ფართობი 2229 კვ.მ.-ია.

1.2 სასწავლებელში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ითვალისწინებს პანდუსების და სპეციალური სველი წერტილის მოწყობას როგორც არსებულ, ასევე მშენებარე შენობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 760-ით განსაზღვრის საკითხი.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ქეთევან ფანჩულიძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 760 მოსწავლე.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/წ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ქართულ სასწავლებელ - თბილისის“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 760-ით.

## 2. შპს - მეექვსე საავტორო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლალი შაიშმელაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 თვითშეფასების კითხვარში დაწესებულებას საერთო ფართად მითითებული ჰქონდა 4695 კვ. მ. ექსპერტთა ვიზიტის შედეგად, შპს - მეექვსე საავტორო სკოლას დაუდასტურდა ქ. თბილისში ასათიანის ქუჩა №28-ში 2695 კვ. მ. ფართის კანონიერი ფლობა. ამასთან, თვითშეფასების კითხვარსა (4695 კვ.მ) და ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ (2695 კვ. მ.) ფართებს შორის სხვაობა განპირობებულია იმით, რომ შენობა სარემონტოა და დაწესებულება, ამ ეტაპზე, სასწავლო პროცესის წარმართვას გეგმავს მხოლოდ 2695 კვ. მ.-ზე;

1.2 ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები სველი წერტილების მოწყობის მიზნით (გათვალისწინებულია 7 სველი წერტილის მოწყობა, აქედან ერთი - სსსმ მოსწავლეთათვის).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მეექვსე საავტორო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ლალი შაიშმელაშვილს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 500 მოსწავლე.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მეექვსე საავტორო სკოლას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

### 3. პროფესიული კოლეჯის სტატუსის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, ცენტრს მიმართა შეკითხვით, იქნა თუ არა გაგზავნილი შეტყობინებები, აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული წარმოებაში მოსაწვევად.

ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, განმარტა, რომ აღნიშნული დაწესებულებები წარმოადგენენ სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მქონე დაწესებულებებს, რომლებმაც, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მიიღეს პროფესიული კოლეჯის სტატუსი, და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით, შემოიტანეს ცენტრში თვითშეფასების ანგარიში.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ესწრებიან თუ არა სხდომას შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. საბჭომ გამოარკვია, რომ სხდომას არ ესწრებიან ააიპ „ინდიგოს“ და შპს „ინტელექტის“ წარმომადგენლები, ხოლო შპს „ტურიზმისა და სპორტის უნივერსიტეტის“ წარმომადგენელს არ ჰქონდა სათანადო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, განმარტა, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს ჩაბარდა მოწვევის წერილი, რითაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში ეცნობათ საბჭოს სხდომის შესახებ. ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის შესახებ ასევე გამოქვეყნებული იყო ცენტრის ვებ-გვერდის საშუალებით.

საბჭოს თავმჯდომარემ გადაამოწმა დაინტერესებული პირების სხდომაზე მოწვევის საკითხი და დაადგინა, რომ დაცულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები, რაც გულისხმობს დაინტერესებული პირისათვის შესაძლებლობის მიცემას, მონაწილეობა მიიღოს, მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. აღნიშნულზე დაყრდნობით, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხები:

#### 3.1. შპს - უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება „გოცი“

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

##### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1. წარმოდგენილი ათი საგანმანათლებლო პროგრამებიდან უმრავლესობა – რვა პროგრამა არ შეესაბამება პროფესიული სტანდარტებს საფეხურის და კვალიფიკაციის ნაწილში.

1.2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამებიდან მხოლოდ ორი საგანმანათლებლო პროგრამა - ექთნის თანაშემწის II და კბილის ტექნიკოსის I საფეხურები შეესაბამება პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ პროფესიული განათლების საფეხურებს, თუმცა ამ პროგრამებშიც დაფიქსირებულია შენიშვნები, კერძოდ:

##### ექთნის თანაშემწე – II საფეხურის პროგრამა

- პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს ექთნის თანაშემწის პროფესიულ კვალიფიკაციას, ნაცვლად სტანდარტით განსაზღვრული ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში ფიქსირდება საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი და აბიტურიენტთან გასაუბრება, საბაზო განათლების ნაცვლად;
- პროგრამა არის მოცულობით –60 კრედიტი (1560 საათი), აქედან თეორიულ კომპონენტს ეთმობა –50% (780 საათი) და პრაქტიკის კომპონენტს – 50% (780 საათი), მაშინ, როცა ექთნის თანაშემწის პროფესიული სტანდარტით ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების (30 კრედიტი) 60 % ეთმობა –პრაქტიკას, ხოლო 40% – თეორიულ სწავლებას;
- კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მიხედვით პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს მხოლოდ პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას, პროგრამის სასწავლო გეგმაში კი გაწერილია – ლექციისა და სემინარის საათები, აგრეთვე, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის დამოუკიდებელი მუშაობის საათები;

- პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამება სტანდარტით შესაბამისი საფეხურისათვის გათვალისწინებულ კომპეტენციებს;
- პროგრამას არ აქვს პრაქტიკის სილაბუსები.

**კბილის ტექნიკოსი - I საფეხურის პროგრამა.**

- პროგრამა არ არის დამტკიცებული დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ;
- პროგრამის მიზანში ფიქსირდება, რომ „პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიული განათლების მეორე საფეხურის კბილის ტექნიკოსი..., კადრების მომზადება ორთოპედიულ სტომატოლოგიაში; სპეციალისტს უნდა შეეძლოს კბილის ტექნიკად მუშაობა“... ა.შ. რაც არ შეესაბამება კბილის ტექნიკოსის პირველი საფეხურის პროფესიულ სტანდარტს;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში ფიქსირდება სრული საშუალო ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და აბიტურიენტთან გასაუბრება, საბაზო განათლების ნაცვლად;
- კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მიხედვით პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს მხოლოდ პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ყველა პროგრამის სასწავლო გეგმაში კი პრაქტიკის კომპონენტში გაწერილია – ლექციისა და სემინარის საათები და აგრეთვე, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის დამოუკიდებელი მუშაობის საათები;
- პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამება(ბევრად აღემატება) სტანდარტით შესაბამისი საფეხურისათვის გათვალისწინებულ კომპეტენციებს;
- პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) დაწესებულებამ არ წარმოადგინა.

1.3. არ იქნა წარმოდგენილი სილაბუსები, პრაქტიკის გაანგარიშება არ შეესაბამებოდა სტანდარტს, პრაქტიკის კომპონენტი ითვალისწინებდა დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

1.4. დაწესებულებაში არ არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი).

1.5. სწავლის შედეგები ბევრად აღემატება პროგრამის საფეხურისათვის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს.

**2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1. დაწესებულება სარგებლობს 2 სართულიანი შენობით ქ.საგარეჯოში, რუსთაველის ქ. N248/2-ში, ქონების მესაკუთრეა ფიზიკური პირი იზაბელა კუპატაძე, იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2008 წლის 30 მაისს, მოქმედების ვადა უცნობია, რადგან საჯარო რეესტრის ამონაწერში არ არის მითითებული მოქმედების ვადა.

2.2. იჯარის ხელშეკრულება ვერ იქნა წარმოდგენილი.

2.3. საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია 435.3 კვ.მ საერთო ფართი, ხოლო დაწესებულება რეალურად ფლობს 259,5 კვ.მ.

2.4. სველი წერტილი განთავსებულია შენობის გარეთ.

2.5. დაწესებულებამ წარმოადგინა 2008 წლის 10 ივნისის ხელშეკრულება გაფორმებული საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანებასთან რომელმაც გადასცა 2090 წიგნი, თუმცა ხელშეკრულება ვადაგასულია. დაწესებულება ფაქტობრივად იყენებს ამ წიგნებს, ასევე დაწესებულების დირექტორის პირად ბიბლიოთეკას და ელექტრონულ მატარებლებს.

2.6. რადგან არ არსებობს სილაბუსები, ვერ დგინდება ბიბლიოთეკის ლიტერატურის შესაბამისობა სილაბუსებთან.

2.7. დაწესებულებაში არ არის ინტერნეტის ქსელი, წარმოდგენილია დაწესებულების წარმომადგენლის მიმართვა სს „სილქნეტისადმი“ ტელეფონისა და ინტერნეტის დადგმაზე რაზეც შესაბამისი მხარე პასუხობს, რომ შესაძლებელი იქნება სექტემბრის ბოლოს სარემონტო სამუშაოების გამო.

2.8. დაწესებულებაში არ არის გამოკრული ევაკუაციის გეგმა, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი არსებობს თუმცა მისი ფლობა არ დასტურდება დოკუმენტაციის არქონის გამო, ექიმის (ექთნის) შტატი არ არსებობს.

**3. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით**

3.1. ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის III საფეხურის პროგრამა, ოფისის მენეჯერის III საფეხურის პროგრამა და ბუღალტერის III საფეხურის პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. დანარჩენი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების წამყვან მასწავლებლებთან არ აქვთ გაფორმებული ხელშეკრულებები.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშილმა ფართის ფლობის უფლების თაობაზე შეკითხვით მიმართა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს. წარმომადგენლის განმარტებით, პიროვნება, რომელთანაც შპს - უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება „გოცის“ გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება, საქართველოში არ იმყოფება, შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ ვერ მოხერხდა განმეორებით იჯარის ხელშეკრულების დადება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული მიზეზი არ არის საპატიო, ვინაიდან დაწესებულებას შეეძლო უზრუნველყო ხელშეკრულების გაგრძელება მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე, აგრეთვე მოეპოვებინა მესაკუთრის რწმუნება, თუნდაც, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით განხორციელებული სანოტარო მოქმედების საშუალებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება „გოცი“-სათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება „გოცი“-ს გაუუქმდეს ავტორიზაცია.



### **3.2. შპს „ალსო“**

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

#### **2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1. დაწესებულება იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს ქ. თელავში, დ. რექტორის ქ. N8-ში II სართულზე მდებარე საერთო ფართს – 78,2 კვ.მეტრს, ვიზუალური დათვალიერებით და აზომვითი ნახაზების შესაბამისად დადგინდა, რომ ფაქტობრივად იჯარით აღებული ფართი შეადგენს 135 კვ.მ.-ს. ქონების მესაკუთრეა თელავის მუნიციპალიტეტი. იჯარის ხელშეკრულება N5/ი-2011 გაფორმებულია 2011 წლის 10 მაისს, მოქმედების ვადაა 2016 წლის 10 მაისამდე. ასევე, წარმოდგენილია 2011 წლის 11 აგვისტოს დადებული იმავე ტიპის იჯარის ხელშეკრულება შენობის მეორე სართულზე არსებულ 33 კვ.მ-ზე, ასევე შენობის პირველ სართულზე არსებულ 130 კვ.მ ფართზე, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, თუმცა დაწყებული იყო სარეგისტრაციო წარმოება. იმ ფართზე, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში მიმდინარეობდა რემონტი.

2.2. დაწესებულების ადგილზე არსებული წიგნადი ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას, თუმცა აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ბიოლოგიის სილაბუსში არ იყო მითითებული ლიტერატურა, რის გამოც, ვერ დადგინდა ამ კურსის შესწავლისათვის აუცილებელი წიგნების არსებობა. წიგნადი ფონდის დაწესებულების საკუთრებაში არსებობა დასტურდება ჩუქების ან/და ნასყიდობის დოკუმენტებით. ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნში ასახულია წიგნადი ფონდის დიდი ნაწილი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წიგნები არ არის დამოწმებული დაწესებულების ბეჭდით.

შპს - ალსოს წარმომადგენლებმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინეს შესწორებული დოკუმენტაცია, ასევე საჯარო რეესტრის ამონაწერი იმ ფართზე, რომელზეც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების უფლება, ვიზიტის პერიოდისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოშობილი არ იყო. საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა თხოვნით, გადაემოწმათ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების უფლება აღნიშნულ ფართზე საჯარო რეესტრის მონაცემების შესაბამისად. ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, დაადასტურა, რომ შპს „ალსოს“ სახელზე საჯარო რეესტრში დაფიქსირებულია აღნიშნულ ფართზე იჯარის უფლება.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ სურთ 100 -ზე მეტი პროფესიული სტუდენტის მიღება, შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭომ არ გაიზიარა საერთო ფართის არასაკმარისობასთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ალსო“-სათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

#### **საბჭომ გადაწყვიტა:**

შპს ალსოს” ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს.

### 3.3. შპს „ილია“ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 შპს „ილია“ – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და კვალიფიკაცია. პროგრამები შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვთ გარკვეული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, მაგრამ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს აქვს შემდეგის სახის ხარვეზები:

- საგანმანათლებლო პროგრამები პედაგოგიურ საბჭოზე დამტკიცებულია, როგორც „ახალი საგანმანათლებლო პროგრამები“, მაგრამ კერძოდ, რომელი საგანმანათლებლო პროგრამები მტკიცდება, ოქმიდან არ ჩანს.
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მიხედვით კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს მხოლოდ პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ყველა პროგრამის სასწავლო გეგმაში კი გაწერილია – სალექციო საათები, აგრეთვე სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის დამოუკიდებელი მუშაობის საათები.
- პროგრამები არ მოიცავს ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ;
- დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ სამი პროგრამით - ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის III საფეხურის პროგრამით, ოფისის მენეჯერის III საფეხურის პროგრამითა და ბულალტერ-მონაგარიშის III საფეხურის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები:

1.2 გარდა ზემოთ აღნიშნული შენიშვნებისა, ზოგიერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით დაფიქსირდა შემდეგი კონკრეტული ხარვეზები:

#### ექთნის თანაშემწე – II საფეხურის პროგრამა

- პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს მეორე საფეხურის ექთნის თანაშემწის პროფესიულ კვალიფიკაციას, ნაცვლად სტანდარტით განსაზღვრული ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში ფიქსირდება მინიმალური ასაკი 18 წელი.
- პროგრამა არის მოცულობით –60 კრედიტი (1500 საათი), აქედან თეორიულ კომპონენტს ეთმობა –50% (750 საათი) და პრაქტიკის კომპონენტს – 50% (750 საათი), მაშინ, როცა ექთნის თანაშემწის პროფესიული სტანდარტით ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების (30 კრედიტი) 60 % ეთმობა –პრაქტიკას, ხოლო 40% – თეორიულ სწავლებას.
- კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მიხედვით პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს მხოლოდ პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას, პროგრამის სასწავლო გეგმაში კი გაწერილია – სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის დამოუკიდებელი მუშაობის საათები.

#### ექთნის თანაშემწე – III საფეხურის პროგრამა.

- პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს მესამე საფეხურის ექთნის თანაშემწის პროფესიულ კვალიფიკაციას, ნაცვლად სტანდარტით განსაზღვრული ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში ფიქსირდება საბაზო და საშუალო განათლება, აგრეთვე მინიმალური ასაკი 18 წელი და არ არის მოთხოვნილი წინა საფეხურის ანუ ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ან აღნიშნული კვალიფიკაციის აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- პროგრამა არის მოცულობით – 90 კრედიტი (2250 საათი), აქედან თეორიულ კომპონენტს ეთმობა –60% (1350 საათი) და პრაქტიკის კომპონენტს – 40% (900 საათი), მაშინ, როცა ექთნის თანაშემწის პროფესიული სტანდარტით ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების (60 კრედიტი) 60 % ეთმობა –პრაქტიკას, ხოლო 40% – თეორიულ სწავლებას.

### **მასაჟისტი – III საფეხურის პროგრამა**

- პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს მესამე საფეხურის მასაჟისტის პროფესიულ კვალიფიკაციას, ნაცვლად სტანდარტით განსაზღვრული მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში ფიქსირდება საბაზო და საშუალო განათლება, აგრეთვე მინიმალური ასაკი 18 წელი რაც არ არის შესატყვისი პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებისა.

### **ოფისის მენეჯერი – II საფეხურის პროგრამა**

- პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს მეორე საფეხურის ოფისის მენეჯერის პროფესიულ კვალიფიკაციას, ნაცვლად სტანდარტით განსაზღვრული ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა.

### **აგრარული ტექნიკის მექანიკოსი – I საფეხურის პროგრამა.**

- პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს პირველი საფეხურის აგრარული ტექნიკის მექანიკოსის პროფესიულ კვალიფიკაციას, ნაცვლად სტანდარტით განსაზღვრული აგრარული ტექნიკის მექანიკოსის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა.

### **მოლარე – III საფეხურის პროგრამა.**

- პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს მოლარის პროფესიულ კვალიფიკაციას, ნაცვლად სტანდარტით განსაზღვრული მოლარის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა.

### **კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი – III საფეხურის პროგრამა**

- პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს მესამე საფეხურის კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის პროფესიულ კვალიფიკაციას, ნაცვლად სტანდარტით განსაზღვრული კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა.

### **ოფისის მენეჯერი – III საფეხურის პროგრამა**

- პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს მესამე საფეხურის ოფისის მენეჯერის პროფესიულ კვალიფიკაციას, ნაცვლად სტანდარტით განსაზღვრული ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა.

1.3 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც ასახულია ინფორმაცია მხოლოდ სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. ეს პროგრამებია:

- ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის III საფეხურის პროგრამა;
- ოფისის მენეჯერის III საფეხურის პროგრამა;
- ბუღალტერის III საფეხურის პროგრამა.

საბჭოს სხდომაზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უარს ამბობენ იმ პროგრამების განხორციელებაზე, რომლებიც ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის მიერ ნეგატიურად იქნა შეფასებული და სურვილი აქვთ განახორციელონ მხოლოდ ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის III საფეხურის, ოფისის მენეჯერის II და III საფეხურის და ბუღალტერის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, ნინო ვეტვიაშვილს თხოვნით, დაედგინა აღნიშნული 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის დებულების მოთხოვნებთან. ავტორიზაციის ექსპერტმა დაადასტურა, რომ ახლად წარმოდგენილ პროგრამებში აღმოფხვრილია ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მითითებული ხარვეზები.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან შპს - „ილია“ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება - არის ასევე ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი, მისი პირობები დამატებით გადამოწმდება ავტორიზაციის განაცხადის წარდგენის დროს.

ნინო ფეტვიაშვილმა დაადასტურა ზემოაღნიშნული 4 პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შპს „ილია“ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

**საბჭოს გადაწყვეტა:**

შპს „ილია“ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს.

### 3.4. შპს „სიო“

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1. სწავლის შედეგები პროგრამებში წარმოადგენს შესაბამისი პროფესიული სტანდარტებით დადგენილი სწავლის შედეგების ზუსტ ასლს, თუმცა შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღწევი დისციპლინები პროგრამების სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული არ არის. - მაგალითად ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროგრამაში არ ისწავლება ბიოლოგიური მეცნიერებების შემსწავლელი დისციპლინა, მესამე საფეხურის პროგრამაში - ურთიერთობის ფსიქოლოგიის და მათემატიკური გამოთვლების შემსწავლელი დისციპლინები, მასაჟისტის პროგრამაში - ურთიერთობის ფსიქოლოგიის და მათემატიკური გამოთვლების უნარის გამომუშავებელი დისციპლინები.

1.2. პროგრამებში აცდენა სწავლის შედეგების რუქისა და პროგრამის სასწავლო გეგმას შორის, ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროგრამის სწავლის შედეგების რუქაში გათვალისწინებულია 6 სასწავლო დისციპლინა, ხოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 11 საგანი. ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროგრამის სწავლის შედეგების რუქით გათვალისწინებულია 9 სასწავლო დისციპლინა ხოლო სასწავლო გეგმით - 15 დისციპლინა.

1.3. პროგრამებით გათვალისწინებული სტუდენტის დატვირთვის კომპონენტებში არ არის ასახული სტუდენტების მიერ შუალედური და დასკვნითი შეფასების საკონტაქტო საათები და დამოუკიდებელი მუშაობის საათები. აღნიშნული არღვევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N121 ბრძანების მოთხოვნებს.

1.4. პროგრამის სასწავლო გეგმებში დამოუკიდებელი მუშაობის საათები შედის საკონტაქტო საათებში, რაც ასევე არ შეესაბამება N121 ბრძანებით დადგენილ პროფესიული განათლების კრედიტების სისტემას.

1.5. კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროგრამის სასწავლო გეგმაში არ არის გაწერილი სასწავლო დისციპლინების კრედიტების რაოდენობა.

1.6. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების თანაფარდობა არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს, მაგალითად ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროგრამაში სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი ითვალისწინებს 490 საათს, მაშინ როდესაც პრაქტიკის კომპონენტი უნდა შეადგენდეს პროგრამის არანაკლებ 60%-ს ანუ არანაკლებ 900 საათს.

1.7. საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრულია შეფასების 100 ქულიანი სისტემა ხოლო შინაგანაწესის შესაბამისად - კოლეჯში მოქმედებს შეფასების 10 ქულიანი სისტემა.

1.8. სასწავლო დისციპლინების დასახელება რიგ შემთხვევაში არ შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს, მაგალითად საექთნო საქმის პროგრამით გათვალისწინებულია დისციპლინა სახელწოდებით „დედათა და ბავშვთა მოვლა“ ამასთან სასწავლო კურსის შინაარსით ისწავლება გინეკოლოგია და თერაპია, შესაბამისი სირთულის თემებითა და ლიტერატურით, რაც სცილდება შესაბამისი პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ კომპეტენციის დონეს.

1.9. სასწავლო კურსის პროგრამები/სილაბუსები სრული სახით წარმოდგენილი არ ყოფილა, წარმოდგენილი სილაბუსები შეიცავს მხოლოდ სასწავლო თემებს და ლიტერატურის ჩამონათვალს. ინფორმაცია სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების, სასწავლო კურსის ხელმძღვანელის, შეფასების სისტემისა და დაშვების წინაპირობების შესახებ. აგრეთვე სწავლების ხანგრძლივობისა და სტუდენტების კვირეული დატვირთვის შესახებ.

1.10. საათების განაწილება სილაბუსებში არ მოიცავს დამოუკიდებელ მუშაობას, შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რაც არღვევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N121 ბრძანების მოთხოვნებს.

1.11. ექთნის თანაშემწის მეორე და მესამე საფეხურის პროგრამაში ისწავლება იდენტური სახელწოდების, მოცულობის, და თემატიკის შემცველი სასწავლო დისციპლინები - ნორმალური ანატომია ფიზიოლოგია პათოლოგიით, კომპიუტერი მომვლელის საქმიანობაში, სამედიცინო ტერმინოლოგია (ქართული, ლათინური) მედდის საქმე, მოვლის საფუძვლები, უცხო ენა- ინგლისური, ინფექციური დაავადებები, თერაპიული პაციენტის მოვლა, ქირურგიული პაციენტის მოვლა, დედათა და ბავშვთა მოვლა, პირველადი სამედიცინო დახმარება -. აქედან გამომდინარე, მეორე და მესამე საფეხურის ექთნის თანაშემწის პროგრამები ¼-ით იდენტურ სწავლის შედეგებს უნდა გამოუმუშავებდეს პოტენციურ კურსდამთავრებულს.

1.12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ასახული კომპეტენციები და მუშაობის სფეროები სცილდება პროფესიული სტანდარტით დადგენილ სფეროსა და მიზნებს, კერძოდ შპს „სიოს“ მიერ წარმოდგენილი ექთნის თანამშემწის პროგრამების მიზნების შესაბამისად, ექთნის თანამშემწის მოვალეობაა „მოსახლეობას გაუწიოს პრევენციული, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო სამედიცინო სამსახური“ ასევე „ექთნის თანამშემწემ უნდა შეძლოს პაციენტის მდგომარეობის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება მკურნალობის შესახებ“. აღსანიშნავია ასევე, რომ ექთნის თანამშემწის მეორე და მესამე საფეხურის პროგრამების მიზნები იდენტურია.

1.13. კბილის ტექნიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შესაბამისად, „კურსდამთავრებულებს ეცოდინებათ პროფილაქტიკის, დისპანზერისაციის და მკურნალობის ძირითად მეთოდები დეონტოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და იურიდიული ხასიათის ცოდნის გამოყენებით“.

1.14. საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) ვიზიტის დროს წარმოდგენილი არ ყოფილა.

1.15. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები (კვალიფიკაციის აღმწერი) მხოლოდ ტექსტობრივად არის ადექვატური (იმეორებს) შესაბამის პროფესიული სტანდარტის სწავლის შედეგებს, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამებით არ ისწავლება შესაბამისი კომპეტენციების განმავითარებელი სასწავლო დისციპლინები, კერძოდ - ექთნის თანამშემწის მეორე საფეხურის პროგრამაში არ ისწავლება ბიოლოგიური მეცნიერებების შემსწავლელი დისციპლინა, მესამე საფეხურის პროგრამაში - ურთიერთობის ფსიქოლოგიის და მათემატიკური გამოთვლების შემსწავლელი დისციპლინები, მასაჟისტიკის პროგრამაში - ურთიერთობის ფსიქოლოგიის და მათემატიკური გამოთვლების უნარის გამომუშავებელი დისციპლინები და ა.შ.

1.16. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან, კერძოდ ჩარიცხვის წინაპირობად დადგენილია 15 წლის ასაკი.

1.17. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები არ იყო წარმოდგენილი.

1.18. შპს სიოს ვიზიტის დროისათვის არ ჰქონდა განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა.

## **2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1. შპს სიოს ქ. ქუთაისში საკუთრებაში ან მფლობელობაში ფართი არ გააჩნია. წარმოდგენილი იქნა შპს „ბომონდთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა ამოიწურა, ასევე, სახეზე არ ყოფილა ფართით ფაქტობრივი სარგებლობა. (დაწესებულების ადმინისტრაცია განთავსებული იყო კლინიკა „ბომონდის“ ექიმის კაბინეტში, სამკურნალო დაწესებულების შენობაში ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და იქვე აწარმოებდა აბიტურიენტების მიღებას. სხვა ფართით დაწესებულება ქ. ქუთაისში არ სარგებლობდა.

2.2. ქ. ფოთში იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე შპს სიო ფლობს 4 ოთახს 115 კვ.მ. ფართით შპს - ფოთის N1 პოლიკლინიკის შენობაში, რომლიდან 2 ოთახი აღჭურვილია ადმინისტრაციის განსათავსებლად, ხოლო 2 ოთახი - სააუდიტორიოდ. შესაბამისად, დაწესებულების მფლობელობაში არსებული ფართის რაოდენობა არ არის საკმარისი ავტორიზაციის დებულების გათვალისწინებული სტანდარტის დასაკმაყოფილებლად.

2.3. ქ. ფოთში არსებული ფართი აღჭურვილია მხოლოდ თეორიული სალექციო მეცადინეობის ინვენტარით, არ არის ავადმოვლის პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების ოთახი, კბილის სატექნიკო ლაბორატორია, სამასაჟო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და ა.შ.

2.4. სასწავლო პრაქტიკული ბაზით სარგებლობის ხელშეკრულებები გაფორმებული ქუთაისში, რაც შეუძლებელს ხდის ფოთის ბაზაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის აღნიშნული მატერიალური რესურსით სარგებლობას. (სასწავლო კურსების უმეტესობა ერთდროულად თეორიას და პრაქტიკას ითვალისწინებს).

2.5. ქ. ფოთში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, დაწესებულება სარგებლობს ოთახების ფართითა და ინვენტარით, სველი წერტილებითა და კომუნალური მომსახურებით სარგებლობის უფლება არ უდასტურდება.

2.6. დაწესებულებას არ გააჩნია ბიბლიოთეკა, საბუღალტრო დოკუმენტაციით საბიბლიოთეკო ფონდების ფლობა არ დასტურდება.

2.7. დაწესებულების საბალანსო მონაცემებით შემენილი აქვს 4 კომპიუტერი, სახეზე იყო ქალაქ ქუთაისში 1 კომპიუტერი ადმინისტრაციის სარგებლობისათვის, რომელიც არ იყო ჩართული ინტერნეტის ქსელში.

2.8. ინტერნეტით სარგებლობის დოკუმენტი დაწესებულებას არ წარმოუდგენია. ასევე არ დასტურდება თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ვებგვერდის [www.sio.ge](http://www.sio.ge) ფლობა (არ არის დომენის ფობისა და ჰოსტინგის მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

2.9. ქ. ფოთში დაწესებულება განთავსებულია პოლილინიკის შენობაში, რომელსაც აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ცენტრალიზებული სისტემა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სისტემა, თუმცა შენობაში განთავსებული არ არის ევაკუაციის გეგმა, ასევე დაწესებულებას არ წარმოუდგენია წესრიგის დაცვის მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულება.

2.10. დაწესებულებას არ გააჩნია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

2.11. ვებ-გვერდი [www.sio.ge](http://www.sio.ge) აღჭურვილია სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაციით, თუმცა, დაწესებულების მიერ ვერ დადასტურდა აღნიშნული ვებ-გვერდის ფლობისა და დომენური მისამართით სარგებლობა.

2.12. დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შინაარსობრივად წარმოადგენს სასწავლო პროცესის განხორციელების გრაფიკს, მოიცავს რა ინფორმაციას სწავლის დაწყების, არდადაგებისა და გამოცდების შესახებ.

2.13. 6 წლიანი განვითარების გეგმა დაწესებულებას არ აქვს.

### **3. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით**

3.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტების ნაწილი არ ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის მიერ, კერძოდ - ქ. ქუთაისში დაწესებულებაში არ არის სათანადო კვალიფიკაციის პერსონალი „კომპიუტერი მომვლელის საქმიანობაში“ და „უცხო ენა - ინგლისურის“ კურსებისათვის, ხოლო ქალაქ ფოთში დაწესებულებას არ ჰყავს ინფორმაციული ტექნოლოგიების, ფიზიკური რეაბილიტაციის, ასევე პილის ტექნიკოსის პროფილური პრაქტიკული კურსების შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლები.

სიტყვა მიეცა შპს „სიოს“ წარმომადგენლებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ ეთანხმებოდნენ ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შენიშვნებს და წარმოადგინეს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, აგრეთვე ფართის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მასწავლებელთა პერსონალის პირადი საქმეები.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება და სთხოვა ავტორიზაციის ექსპერტებს, მოეხდინათ ახლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, ავტორიზაციის დებულების მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დასადგენად, თუ ამის შესაძლებლობა იყო ტექნიკურად და სხდომის ფორმატიდან გამომდინარე.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 21:10 საათზე

სხდომა განახლდა 21:30 საათზე

ცენტრის დასკვნით, შპს - „სიოს“ მიერ დამატებით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები არ შეესაბამებოდა ავტორიზაციის დებულებით დადგენილ სტანდარტებს, კერძოდ, დარღვეული იყო თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის თანაფარდობა პროგრამებში, შეცდომები იყო ასევე ცალკეული სილაბუსების საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის, თეორიული და პრაქტიკული კომპონენტისათვის განკუთვნილი საათების გაანგარიშებაში.

სილაბუსების უმეტესობაში წარმოდგენილი არ იყო სასწავლო გეგმა. შპს „სიოს“ წარმომადგენლების განმარტებით, სასწავლო გეგმები მასწავლებლებს ამოღებული აქვთ სილაბუსებიდან, ვინაიდან მათ სრულყოფაზე მიდის მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ მიაჩნიათ მათ ხარვეზები გასწორებულად და პროგრამები სრულყოფილად. შპს „სიოს“ წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ ყველა შენიშვნის გასწორებას საკმაოდ ბევრი დრო სჭირდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „სიოსათვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „სიოს“ გაუუქმდეს ავტორიზაცია.



### 3.5. შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1. დაწესებულების პროგრამები არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ. დაწესებულების განმარტებით, წარმოდგენილია პროგრამის სამუშაო ვერსიები, რომელიც დამტკიცდება ცენტრიდან დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში.

1.2. პროგრამებით გათვალისწინებული კვალიფიკაციები - მეორე და მესამე საფეხურის ექთნის თანაშემწე - არ შეესაბამება ექთნის თანაშემწის პროფესიულ სტანდარტს.

1.3. საგანმანათლებლო პროგრამების/მისი კომპონენტების მოცულობა არ შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს: - ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროგრამის მოცულობა კრედიტებში ადექვატურია სტანდარტის მოთხოვნისა, თუმცა პროგრამის მოცულობაში დაცული არ არის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის ხვედრითი წილი. ნაცვლად 60 % სასწავლო/საწარმოო პრაქტიკისა და 40% სასწავლო კომპონენტისა მე-2 საფეხურის პროგრამაში არის 52 % თეორია და 48 % -პრაქტიკა, სასწავლო გეგმაში კი გამოყოფილია მხოლოდ სასწავლო პრაქტიკის საათები-300 საათი, რაც კრედიტებში შეადგენს 12 კრედიტს. საწარმოო პრაქტიკა საერთოდ არ არის გათვალისწინებული მეორე საფეხურის პროგრამაში.

1.4. ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროგრამის კრედიტებით მოცულობაში მოცემულია თეორიისა და პრაქტიკის ხვედრითი წილი: 488 სთ.-თეორია და 1012 საათი-პრაქტიკა, ხოლო სასწავლო გეგმაში ფიქსირდება სხვა საათობრივი განაწილება: სასწავლო და საწარმოო პრაქტიკისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა შეადგენს 985 საათს.

1.5. სწავლის შედეგები პროგრამებში მოცემულია ზოგადად, სადაც მხოლოდ შინაარსობრივად დგინდება მისაღწევი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები, და არ არის გამოყოფილი ექვსი კომპეტენცია პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტული პროფესიული სტანდარტის თანახმად.

1.6. პროგრამებით გათვალისწინებული დატვირთვა არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მოთხოვნებს, ვინაიდან სტუდენტის დატვირთვის ისეთი კომპონენტები, როგორც არის შუალედური და დასკვნითი შეფასება, არ არის გათვალისწინებული სტუდენტის დატვირთვის პროგრამით გათვალისწინებულ მოცულობაში.

1.7. მხოლოდ 4 სასწავლო კურსი ითვალისწინებს დასკვნით შეფასებას: თერაპია ავადმყოფის მოვლით, ქირურგია ავადმყოფის მოვლით, პედიატრია ავადმყოფის მოვლით, პირველი სამედიცინო დახმარება ავადმყოფის მოვლით. აღნიშნული წინააღმდეგობაშია N121 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან პროფესიული სტუდენტის დატვირთვის გადანაწილებასთან მიმართებაში.

1.8. პრაქტიკის საგნები ითვალისწინებს დამოუკიდებელი მუშაობის საათებს, რაც ეწინააღმდეგება პრაქტიკული კომპონენტის მოცულობას.

1.9. საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) ვიზიტის დროს წარმოდგენილი არ ყოფილა.

1.10. სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობის, არაფორმალური განათლების აღიარების პროგრამის აღიარების წესი არ ყოფილა წარმოდგენილი.

1.11. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები არ ყოფილა წარმოდგენილი. დაწესებულების განმარტებით, აღნიშნული მემორანდუმი გაფორმების პროცესშია

1.12. ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელს ვიზიტს დროისათვის არ ჰქონდა განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა.

ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, აღნიშნა, რომ შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელის მიერ წარმოდგენილი იქნა შესწორებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელშიც აღნიშნული ხარვეზები არ ფიქსირდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

**საბჭომ გადაწყვიტა:**

შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის გაუქმებაზე ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს.

### 3.6. შპს „ცხუმ-ეგრისი“

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებამ წარმოადგინა მესამე საფეხურის 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- არცერთ პროგრამაში არ არის მითითებული სწავლების ხანგრძლივობა;
- გიდის, კბილის ტექნიკოსის, ელექტრიკოსის და ექთნის თანაშემწის პროგრამებზე დაშვების წინაპირობაში არ არის მითითებული წინა საფეხურის დიპლომი ან აღიარება;
- სილაბუსებში არ არის ასახული სწავლის შედეგების შესაბამისი პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა (ძირითადად კოპირებულია პროგრამიდან);
- სწავლის შედეგების რუქაში უცხო ენის, ინფორმატიკის და პროფესიული ეთიკის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი არ არის ასახული;
- არცერთ სილაბუსში არ არის მოცემული სწავლის ხანგრძლივობა, შესაბამისად არ დგინდება რა პერიოდში ისწავლება კონკრეტული კურსი;
- რამდენიმე სილაბუსს არ აქვს დაშვების წინაპირობა, მაგალითად სილაბუსებში-კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა, ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსური აღრიცხვა, მმართველობითი აღრიცხვა, სტატისტიკა, მედდის საქმე, თერაპია, ქირურგია, ჰიგიენა მიკრობიოლოგიის საფუძვლები და სხვ.; არ ჩანს რა თანმიმდევრობით ისწავლება კურსები პარალელურად თუ ერთმანეთის მონაცვლეობით;
- არც პროგრამებში და არც სილაბუსებში არ ჩანს, როგორ ხდება სასწავლო პრაქტიკის განხორციელება. სასწავლო გეგმაში მითითებულია მხოლოდ საწარმოო პრაქტიკის დატვირთვა;
- არც ერთ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული სასწავლო გეგმის მიხედვით საწარმოო პრაქტიკის საათებში შეფასება.

#### 2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკაში არ არის კატალოგი და წიგნების გატანა და შემოტანა არ აღირიცხება.

2.2 დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. კერძოდ, არ არის პანდუსები.

დაწესებულების მიერ საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი იქნა შესწორებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე საბიბლიოთეკო დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ავტორიზაციის ექსპერტებს დაედგინათ აღნიშნული პროგრამების შესაბამისობა ავტორიზაციის დებულების მოთხოვნებთან. პროგრამების შესწავლის შედეგად ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში აღმოფხვრილია ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნით დაფიქსირებული ხარვეზები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „ცხუმ-ეგრისისათვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

#### საბჭომ გადაწყვიტა:

შპს „ცხუმ-ეგრისის“ ავტორიზაციის გაუქმებაზე ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს.

### 3.7. შპს ზუგდიდის სამედიცინო პროფესიული სასწავლო ცენტრი

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

საავტორიზაციო ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაწესებულება მიღწევად რეჟიმში ახორციელებს მედიის სახელობო სასწავლო პროგრამას, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება მას ამ ეტაპზე არ სურს.

#### 2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში

2.1. დაწესებულებაში არის ბიბლიოთეკა, მაგრამ ვერ დადგინდა წიგნადი ფონდის რაოდენობა, რადგან არ წარმოებს საინვენტარო წიგნი და არ იქნა წარმოდგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, წიგნები მიღებული აქვთ ჩუქებით და შესაბამისი დოკუმენტაცია არ აქვთ. წიგნადი ფონდი საბიბლიოთეკო პრინციპით დამუშავებული არ არის, არ წარმოებს კატალოგი, არ არის შემუშავებული სარგებლობის წესები და მუშაობის განრიგი.

2.2. დაწესებულებას არ აქვს ვებგვერდი.

ზეპირ მოსმენაზე შპს - ზუგდიდის სამედიცინო პროფესიული სასწავლო ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიზანია, დაასრულოს სწავლება სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მსმენელებისათვის, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება მას ამ ეტაპზე არ სურს.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა საბიბლიოთეკო საქმიანობის მომაწესრიგებელი დოკუმენტაცია და ხელშეკრულება ვებ-გვერდის მომზადების შესახებ.

ავტორიზაციის საბჭომ იმსჯელა და დაადგინა, ვინაიდან დაწესებულება არ გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას მოხსნილია ვალდებულებები საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულების მიერ აღმოფხვრილია შენიშვნები მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში, ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა შპს - ზუგდიდის სამედიცინო პროფესიულ სასწავლო ცენტრს არ უფიქსირდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ზუგდიდის სამედიცინო პროფესიული სასწავლო ცენტრისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

#### საბჭომ გადაწყვიტა:

შპს - ზუგდიდის სამედიცინო პროფესიული სასწავლო ცენტრისათვის ავტორიზაციის გაუქმებაზე ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს.

### 3.8. შპს - ტურიზმისა და სპორტის უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცენტრის პოზიცია წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ უარყოფით შეფასებებზე:

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მესამე საფეხურის 12 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა, თვითშეფასების ანგარიშში მითითებული იყო მხოლოდ 11 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თვითშეფასებას ანგარიშში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. გადამოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- არცერთ პროგრამაში არ არის მითითებული სწავლების ხანგრძლივობა;
- პროგრამებში მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ზოგიერთ შემთხვევაში, არ შეესაბამება სტანდარტებში მითითებულ კვალიფიკაციებს. კერძოდ, სტანდარტის მიხედვით მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა იყოს - ტურისტული მომსახურების დაჯავშნის სპეციალისტი (მითითებულია ტუროპერატორი); უნდა იყოს - ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მომსახურებელი (მითითებულია ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია);
- გიდის პროგრამაში არ არის დაშვების წინაპირობა;
- სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტის, ავტომობილის ზეინკლის, მოცეკვავის პროგრამებს თან არ ახლავს არცერთი სილაბუსი;
- სილაბუსებში არ არის ასახული სწავლის შედეგების შესაბამისი პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა (მირითადად კოპირებულია პროგრამებიდან);
- ყბა-სახის ანატომიას სასწავლო გეგმაში ეთმობა 3 კრედიტი, სილაბუსი მითითებულია 5 კრედიტი;
- სწავლის შედეგების რუქაში უცხო ენის, ინფორმატიკის და პროფესიული ეთიკის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი არ არის ასახული;
- არ არის წარმოდგენილი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი სილაბუსები:

**გიდი** - პროფესიული ეთიკა, საქართველოს ეთნოგრაფია, შესავალი მასპინძლობის ინდუსტრიაში, მდგრადი ტურიზმის განვითარება, ტურიზმის დაცულობა და უსაფრთხოება, ტურიზმის გიდის ბიზნესი;

**სასტუმრო საქმის მწარმოებელი** - უცხო ენა, ფსიქოლოგია და მომსახურების ეთიკა, სასტუმროს დაჯავშნის სამსახური, სასტუმროს მარკეტინგი და გაყიდვები, სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები;

**ბუღალტერია** - კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება; პროფესიული ეთიკა, საქმიანი ქაღალდების შედგენა;

**ოფის-მენეჯერი** - პროფესიული ეთიკა, საქმის წარმოება, ოფისის ტექნიკა, რედაქტირების საფუძვლები, ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები;

**ექთნის თანაშემწე** - თერაპია, ქირურგია, ჰიგიენა მიკრობიოლოგიის საფუძვლები, პროფესიული ეთიკა, ნერვიული ფსიქიკური დაავადებები;

**მასაჟისტი** - უცხო ენა, ინფორმატიკა, ადამიანის ანატომია, ლათინური ენა, პედაგოგია, ჰიგიენა-მიკრობიოლოგიის საფუძვლები;

**ტუროპერატორი** - პროფესიული ეთიკა, პირველადი სამედიცინო დახმარება, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი.

1.2 დაწესებულებაში არ არის საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

#### 2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1. დაწესებულება განთავსებულია ქ. ზუგდიდში, მერაბ კოსტავას ქ. №58 -ში, რომელთან დაკავშირებითაც დადებულია უძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება ინდივიდუალურ მეწარმე მერაბ კიკალიშვილთან, ერთი წლის ვადით. ხელშეკრულება მოქმედებს 2012 წლის 1 თებერვლამდე და არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება სს - „ზუგდიდის ქაღალდთან“, რის საფუძველზეც ფლობს ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №1-ში მდებარე შენობის ნაწილს. ხელშეკრულება არ არის დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებამ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა იჯარის უფლების

წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე, წარმოადგინა განცხადების მიღების ბარათი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა მითითებული ფართი. იჯარით გადაცემული საერთო ფართი, ხელშეკრულების თანახმად, შეადგენს 450 კვ.მ-ს, თუმცა, დაწესებულებამ ვიზიტის განმავლობაში ვერ წარმოადგინა შენობის აზომვითი ნახაზი და ვერ დადგინდა ხელშეკრულებაში მითითებული საერთო ფართის სიზუსტე, ამასთან, ვერ მოხერხდა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ფართის (450 კვ.მ-ს) იდენტიფიცირება შენობის მთლიანი ფართიდან. დაწესებულების წარმომადგენლის ზეპირი განმარტებით, ხელშეკრულების საგანია შენობის მეორე და მესამე სართულის ნაწილები.

2.2. დაწესებულებას, ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. №58-ში მდებარე ფართზე, შენობის შიგნით აქვს ორი საპირფარეშო, რომლებსაც მიეწოდება წყალი, თუმცა, საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს, ასევე, შენობის გარეთ განთავსებული ორი საპირფარეშო, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი წყლის მიწოდებით, თუმცა, საპირფარეშოების გარეთ არის ხელსაბანი. რაც შეეხება დაწესებულების მეორე ფართს, რომელიც მდებარეობს ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №1-ში, ვიზიტის დროს აღნიშნულ ფართს არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია, გარდა ამისა, შენობის საერთო ფართიდან ვერ ხდება ხელშეკრულებაში მითითებული ფართის იდენტიფიცირება, ვინაიდან არ იქნა წარმოდგენილი შენობის შიდა აზომვითი ნახაზი და არც ხელშეკრულება შეიცავს დამატებით ინფორმაციას. დაწესებულების წარმომადგენლის ზეპირი განმარტებით, იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი მოიცავს შენობის მეორე და მესამე სართულებს ნაწილობრივ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ფართზე სველი წერტილები განთავსებულია შენობის მხოლოდ პირველ სართულზე, ამასთან, ორივე მათგანი გაუმართავია, საჭიროებს შეკეთებას.

2.3. ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ნახევარზე მეტი, ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა არცერთი მათგანი.

2.4. დაწესებულების პირველ სართულზე, შენობიდან გასასვლელ კართან გამოკრულია პირველი და მეორე სართულის ევაკუაციის გეგმები.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლიკა გიორგაძემ მოახსენა საბჭოს, რომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული შენიშვნების გამაქარწყლებელი, ან შემავსებელი დოკუმენტაცია შპს - ტურიზმისა და სპორტის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ტურიზმისა და სპორტის უნივერსიტეტისათვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ტურიზმისა და სპორტის უნივერსიტეტს გაუუქმდეს ავტორიზაცია.

### 3.9. შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცენტრის პოზიცია წარადგინა ანა ბუჩუკურმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შეფასებებზე:

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1. დაწესებულების მიერ რეალიზებული კბილის ტექნიკოსის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს. კერძოდ სამივე პროგრამის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა კბილის სატექნიკო, ნაცვლად პირველი/მეორე/მესამე საფეხურის კბილის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამისა.

1.2. კბილის ტექნიკოსის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 პუნქტში მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს. კერძოდ, ნაცვლად კბილის ტექნიკოსის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია - პირველი საფეხურის კბილის ტექნიკოსი; ნაცვლად კბილის ტექნიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია - მეორე საფეხურის კბილის ტექნიკოსი; ნაცვლად კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისა კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია - მესამე საფეხურის კბილის ტექნიკოსი.

1.3. კბილის ტექნიკოსის მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსში - მოსახსნელი პროთეზების დამზადების ტექნიკა 2 პროფესიული სტუდენტის შეფასება ხდება რამდენიმე კომპონენტით: 1. მეცადინეობებზე (თეორია, პრაქტიკა) დასწრება; 2. აქტიურობა-პრეზენტაცია; 3. შუალედური შეფასება; 4. დასკვნითი გამოცდის შეფასება. სილაბუსში არ არის გაწერილი აღნიშნული კომპონენტების შესაბამისად რამდენი ქულით ფასდება პროფესიული სტუდენტი. ანალოგიურია შეფასების სისტემა დაწესებულების მიერ რეალიზებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში, გარდა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებისა.

1.4. სასწავლო კურსის შინაარსი მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ შუალედური შეფასების მაქსიმალური რაოდენობის ქულების შესახებ. ამასთან, აღნიშნული სასწავლო კურსის ფორმატი ითვალისწინებს მხოლოდ ლექციას და არა პრაქტიკულ მეცადინეობას, შეფასების კომპონენტი კი პრაქტიკული მეცადინეობებზე დასწრებისთვისაც არის გაწერილი. ანალოგიურადაა გაწერილი შეფასების კომპონენტები ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში. დაწესებულების დირექტორის მოადგილის (ნინო გომელაური) განმარტებით, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (15.05.2011წ. ოქმი №1) განხილულ და დამტკიცებულ იქნა სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულების რაოდენობა, რომელსაც ყველა პედაგოგი გამოიყენებდა სტუდენტთა შეფასებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პედაგოგების მიერ აღარ მოხდა კომპონენტების მიხედვით ქულათა რაოდენობის მითითება სილაბუსებში. მისი, განმარტებით, სილაბუსებში მხოლოდ შუალედური გამოკითხვის ქულები იმიტომ არის მითითებული, რომ ზემოაღნიშნული სხდომის ოქმის შესაბამისად, სასწავლო კურსი თუ ერთი შუალედურ შეფასებას გაითვალისწინებს 30 ქულით შეფასდება სტუდენტი, თუ ორს - 15-15 ქულით, სხვა კომპონენტებში ყველა პედაგოგი პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული ზემოთაღნიშნული კრიტერიუმებით და ქულებით აფასებს სტუდენტს.

1.5. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით პრაქტიკას უნდა დაეთმოს საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობის არანაკლებ 40%. დაწესებულების მიერ რეალიზებული კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არის 40 კრედიტი, ამავე პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ პრაქტიკას დათმობილი აქვს 13 კრედიტი, რაც შეადგენს 32.5 საათს, ანუ პრაქტიკის 32.5%-ს. მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 30 კრედიტია, საიდანაც პრაქტიკის კომპონენტს დათმობილი აქვს 10 კრედიტი, რაც შეადგენს პროგრამის მოცულობის 33%-ს. მსგავსი ხასიათის დარღვევა ფიქსირდება სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებშიც.

1.6. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ რეალიზებულ ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკას დათმობილი აქვს დამოუკიდებელი სამუშაოსთვის საათები. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/5 ბრძანებით დამტკიცებულ "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს", რომლის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში

მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

1.7. მოლარის სამივე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განსხვავებულია პროფესიული სტანდარტებისგან; კერძოდ, დაწესებულების მიერ აღნიშნული სამი საფეხურის პროგრამის სახელწოდებად მითითებულია „მოლარე-ოპერატორის საგანმანათლებლო პროგრამა“ ნაცვლად მოლარის პირველი/მეორე/მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა.

1.8. ამასთან, მოლარის სამივე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არასრულყოფილია. კერძოდ, პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, მოლარის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მინიმალური ასაკი 18 წელი, რაც აღნიშნულ პროგრამებში ასახული არ არის.

1.9. ექთნის თანაშემწის პირველი და მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება განსხვავებულია პროფესიული სტანდარტებისგან; კერძოდ, დაწესებულების მიერ აღნიშნული ორი საფეხურის პროგრამის სახელწოდებად მითითებულია „საექთნო საქმე“, ნაცვლად ექთნის თანაშემწის მეორე/მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა.

1.10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი სასწავლო კურსების სახელწოდება არ არის იდენტური სილაბუსში მითითებული სახელწოდებისა. კერძოდ, კბილის ტექნიკოსის მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსის სახელწოდებად მითითებულია მოსახსნელი პროთეზების დამზადების ტექნიკა, ხოლო სილაბუსში - მოსახსნელი პროთეზების დამზადების ტექნიკა 2. სასწავლო კურსების სილაბუსების სახელწოდებებში მითითებულია არაბული რიცხვები, რომელიც არ არის ასახული საგანმანათლებლო პროგრამებში. მსგავსი ხასიათის შეუსაბამობებია სხვა საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კურსის სილაბუსებს შორის.

1.11. დაწესებულების მიერ რეალიზებულ არც ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი სწავლის შედეგები არ შეესაბამება და სრულად არ მოიცავს პროგრამების სწავლის შედეგების რუქაში მითითებულ ყველა შედეგს.

## **2. მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით**

2.1. შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯი ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩა №80-ში, „მარნეულის სარაიონოთაშორისო საავადმყოფოსთან დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ამავე საავადმყოფოს მე-2 სართულზე ფლობს 560 კვ.მ ფართს. აღნიშნული ფართი იჯარით გაცემულია კანონმდებლობის დაცვით (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ნებართვის საფუძველზე, აუქციონის წესით). საიჯარო ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 560 კვ.მ. მაგივრად რეესტრის ამონაწერით იჯარა გაფორმებულია საავადმყოფოს მთელს ფართზე.

2.2. დაწესებულებებში არ არის ინტერნეტის ქსელი, ინტერნეტთან წვდომა ხდება მაგთიფიქსის 1 მოდემით, რაც არ არის საკმარისი კომპიუტერული კლასის უზრუნველსაყოფად.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს აცნობა, რომ შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ მიერ ცენტრში წარმოდგენილი იქნა შესწორებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლითაც აღმოფხვრილია ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო ასევე განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელშიც დაზუსტებულია საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის გადაცემული ფართი, ასევე, დადებული ხელშეკრულება ინტერნეტით მოსახურების თაობაზე.

საბჭომ იმსჯელა დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე, და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას ადგილი არა აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.



მომხრე - 0  
წინააღმდეგი - 5

**საბჭომ გადაწყვიტა:**

შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯისათვის ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს

### 3.10. შპს „ბარაკონი“

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცენტრის პოზიცია წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შეფასებებზე:

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები მოცემულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ შინაგანაწესში, რომელიც შესაბამისობაშია ნორმატიულ აქტებთან, თუმცა მიღებული განათლების აღიარების წესი ეხება მხოლოდ სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას და არა არაფორმალურ განათლებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ერთადერთი შენიშვნა შეეხებოდა არაფორმალური განათლების აღიარების წესის არსებობას, რომელიც მოგვიანებით წარმოდგენილი იქნა ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ბარაკონისათვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

#### საბჭომ გადაწყვიტა:

შპს - „ბარაკონისათვის“ ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს

### 3.11. შპს - I.L Comp

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შეფასებებზე:

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1. პროგრამებში განსაზღვრულია მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია სწორად არის განსაზღვრული მხოლოდ ორ პროგრამაში

1.2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამებში დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

- პროგრამებს თან არ ახლავს პრაქტიკის სილაბუსები;
- არცერთი სასწავლო კურსის გეგმა არ მოიცავს სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას;
- პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121 ბარძანებას;
- პროგრამები არ არის მოცემული შუალედური და საბოლოო გამოცდის დრო;
- რამდენიმე პროგრამაში სწავლის შედეგები არ არის გაწერილი ექვსი კომპეტენციით პროგრამები არ არის შედგენილი პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, რადგან ყველა პროგრამის სასწავლო გეგმაში კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად: საბაზო (major), ზოგად და არჩევით (minor) დისციპლინებზე;
- პროგრამების სასწავლო გეგმაში არ არის მოცემული პრაქტიკისათვის განკუთვნილი კრედიტებისა და საათების რაოდენობა;
- პროგრამებში არ ფიქსირდება საწარმოო პრაქტიკის არსებობა;
- პროგრამებში სწავლის შედეგები კომპირებულია პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოდან და კონკრეტული სტანდარტებიდან, თუმცა თითქმის ყველა პროგრამაში სტანდარტით დადგენილი მიმომალური მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული პროგრამის სწავლის შედეგებში;
- პროგრამებში, რომლებსაც აქვთ წინა საფეხურები, დაშვების წინაპირობებში არ არის გათვალისწინებული მე-2 საფეხურის დიპლომი, აღიარების დოკუმენტი და ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება.

1.3. ასევე ექსპერტებმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სილაბუსში დააფიქსირეს იდენტური ხარვეზები, ესენია:

- სასწავლო კურსების პროგრამებში დაშვების წინაპირობა არასწორად არის განსაზღვრული - საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლება;
- სილაბუსებში მითითებული შეფასების მეთოდები არადეკვატურია სასწავლო კურსის შინაარსის, მაგალითად ბულალტრული აღრიცხვის საფუძვლებში შეფასების მეთოდი ან ჯგუფური ან ინდივიდუალური პრეზენტაცია. პრეზენტაციის შეფასების შესაძლო კრიტერიუმებია: ფორმალური მხარე (ფორმატი) - რეგლამენტის დაცვა, მასალა; ვიზუალური გაფორმება - 5 ქულა; პრეზენტაციის ტექნოლოგია, კონტაქტი აუდიტორიასთან - 5 ქულა და ა.შ;
- სილაბუსებში სწავლის შედეგები აღწერილია პრაქტიკულ და ზოგად/ტრანსფერულ უნრებით;
- სილაბუსებში სწავლის შედეგები არ შეესაბამება პროგრამაში და პროგრამის შედეგების რუქაში მითითებულ სწავლის შედეგებს;
- პროგრამებს თან არ ახლავს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსის პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგ.: პროგრამაში კომპიუტერული გრაფიკას არ აქვს 7 სილაბუსი, აქედან ექვსი პროფესიისთვის აუცილებელი სასწავლო კურსია.

1.4. დაწესებულებაში არსებობს პროგრამების კატალოგი, რომელშიც მისანიჭებელი კვალიფიკაცია არასწორადაა მითითებული. კატალოგი არ შეიცავს ინფორმაციას დაწესებულების შესახებ და არ აქვს სტუდენტის შეფასების წესი.

1.5. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მობილობით, მიღებული განათლების აღიარების წესი/წესებ.

1.6. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის განათლების უზრუნველყოფის მექანიზმი.

1.7. დაწესებულებაში არ არის შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი.

## 2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით

2.1. დაწესებულებაში, არაა შემუშავებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. არის წიგნადი ფონდი, მაგრამ არაა დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით, არ არის ცალკე სამკითხველო დარბაზი და არც წიგნსაცავია. არ არის ბიბლიოთეკის კატალოგი, არც ქაღალდის მატარებლებზე და არც ელექტრონული. წიგნების რაოდენობა და საკუთრება არ დგინდება საინვენტარო წიგნის არ არსებობის და საბუღალტრო დოკუმენტების არ წარმოდგენის გამო.

2.2. დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის.

2.3. შპს კომპიუტერული სკოლა „I.L. Comp“-ში ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულებას არ ჰქონდა საკუთარი ვებ გვერდი.

2.4. არაა შემუშავებული დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა, მოახსენა საბჭოს, რომ ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის შემდგომ შპს „I.L. Comp“-ის მიერ წარმოდგენილი იქნა შესწორებული პროგრამები რომელიც ასევე არ შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტს. კერძოდ:

- ყველა პროგრამაში სასწავლო პრაქტიკას ჰქვია "საოფისე პროგრამული უზრუნველყოფა" 21 კრედიტი. ესეც რომ ჩავთვალოთ პრაქტიკად მაგალითად ინტერნეტტექნოლოგიის (ვებსპეციალისტი) პროგრამაში (120 კრედიტი) პრაქტიკას არ უნდა დაეთმოს 72 კრედიტზე ნაკლები, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად - 60%.
- წარმოდგენილ სილაბუსში "კომპიუტერული ტექნიკა და არქიტექტურა" 2,5 (66სთ.) კრედიტი იყოფა საკონტაქტო დროზე ლექცია 30 საათი; პრაქტიკული 30 სთ. ფინალური გამოცდა 6 სთ. არ არის შუალედური შეფასების დრო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები,
- შესწორებული კატალოგი არ მოიცავს ავტორიზაციის დებულებით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დაწესებულების ვებგვერდის შესახებ ინფორმაცია კვლავ არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭოს შეკითხვაზე წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვებ-გვერდის შექმნა და ვებ-სივრცის შექმნა დანახარჯებთან არის დაკავშირებული, რაც გაუმართლებლად მიაჩნია ამ ეტაპზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „I.L.Comp“-ისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

## გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს „I.L. Comp“-ს გაუუქმდეს ავტორიზაცია.

### 3.12. შპს - მე-3 პროფესიული სამედიცინო სასწავლო ცენტრი

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შეფასებებზე:

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში

1.1. მე-2 საფეხურის ექთნის თანაშემწის პროგრამაში პრაქტიკის მოცულობა ნაცვლად 60% არის 59%. ასევე იმ პროგრამებში, რომლებსაც აქვთ წინა საფეხურები, დაშვების წინა პირობა არ ითვალისწინებს წინა საფეხურის აღიარების დოკუმენტს, არ აქვს წინა საფეხურის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარების შესაძლებლობა. იმ პროგრამებს, რომლებსაც აქვთ მომდევნო საფეხურები არ არის მითითებული სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

1.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს თან ახლავს შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამები.

1.3. რამდენიმე სილაბუსში დაფიქსირდა ხარვეზები, მაგ.: მე-2 და მე-3 საფეხურის კბილის ტექნიკოსის პროფესიულ პროგრამაში ისწავლება კურსი - საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლის ორივე საფეხურის სილაბუსებში მიზნები და სწავლის შედეგები იდენტურია

#### 2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში

2.1. დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით ოთახების გათბობა ხდება ელექტრო ქურებით, თუმცა ელექტრო ქურების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი.

2.2. დაწესებულებაში არაა შემუშავებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. არის წიგნადი ფონდი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, სამკითხველო დარბაზი და წიგნსაცავი განთავსებულია ერთ ოთახში, რომლის ფართიცაა 18,8 კვ.მ. არ არის ბიბლიოთეკის კატალოგი, არც ქაღალდის მატარებლებზე და არც ელექტრონული. წიგნების რაოდენობა და საკუთრება არ დგინდება საბუღალტრო დოკუმენტების არ წარმოდგენის გამო.

2.3. შპს „მე-3 სამედიცინო პროფესიული სასწავლო ცენტრში“ ვიზიტის დროს დაწესებულების ოთახების დათვალიერებისას ადგილზე იყო 9 კომპიუტერი, ერთი მონიტორი, ერთი „კომბაინი“ (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი) და ერთი პრინტერი. ამ ტექნიკიდან ერთი კომპიუტერი და ერთი „კომბაინი“ (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი) დგას სამასწავლებლოში, ერთი კომპიუტერი და ერთი პრინტერი დგას ღირექტორთან, სამი კომპიუტერი და ორი პრინტერი დგას ბუღალტერიაში. დანარჩენი კომპიუტერები ერთი მონიტორი დგას ანატომია-ფიზიოლოგიის კაბინეტში, მაგრამ არ იყო მუშა მდგომარეობასი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გარდა ორი კომპიუტერისა და ერთი კომბაინისა

2.4. დაწესებულებას არ ააქვს შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, ექსპერტთა ვიზიტის დროს თვალსაჩინო ადგილას არ იყო ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით ცეცხლმაქრები მათ აქვთ ჩამოხსნილი და შენახული რემონტის გამო, თუმცა მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს;

2.5. თვალსაჩინო ადგილას არა გამოკრული ევაკუაციის გეგმა, ის ჩამოხსნილი იდო სამასწავლებლოში;

ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ შპს - მე-3 პროფესიული სამედიცინო სასწავლო ცენტრის მიერ წარმოდგენილი იქნა შესწორებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლითაც აღმოფხვრილია ექსპერტთა დასკვნის შენიშვნები.

დაინტერესებულმა მხარემ საბჭოს წარუდგინა აუდიტის დასკვნა, ქონების სავარაუდო საბალანსო ღირებულების თაობაზე. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნით არ დასტურდება, რომ სააუდიტო შეფასების ობიექტი წარმოადგენს შპს - მე-3 პროფესიული სამედიცინო სასწავლო ცენტრის საკუთრებაში არსებულ ქონებას, ვინაიდან დასკვნით შეფასებულია ქონების სავარაუდო ღირებულება.

საბჭომ იმსჯელა და დაადგინა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ვერ დასტურდება დაწესებულების მიერ ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული ქონების - კომპიუტერების, საბიბლიოთეკო ფონდების და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ფლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მე-3 პროფესიული სამედიცინო სასწავლო ცენტრის ათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, მე-3 პროფესიულ სამედიცინო სასწავლო ცენტრს გაუუქმდეს ავტორიზაცია

### 3.13. ა(ა)იპ „ინდიგო“

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შეფასებებზე:

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით

1.1. დაწესებულების პროგრამა არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის მედდა. პროგრამის მოცულობა არ არის კრედიტებში გაწერილი, მხოლოდ საათებში და შეადგენს 1350 საათს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N121/5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მოთხოვნებს. პროგრამა შედგენილია 2008 წლის 24 ივნისს დამტკიცებული სახელობო სტანდარტის საფუძველზე. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგობრივი და ზოგადი უნარების განვითარებას, თუმცა, პროგრამას არ გააჩნია სწავლის შედეგების რუქა და არ არის გამოყოფილი კვალიფიკაციათა აღმწერი. პროგრამის სასწავლო გეგმაში მოცემულია საათობრივი განაწილება და ითვალისწინებს თეორიის, სასწავლო პრაქტიკის და საწარმოო პრაქტიკის გავლას. პროგრამაში ცალკეა მოცემული სასწავლო პრაქტიკის მოცულობა და ჩატარების გრაფიკი. სასწავლო პრაქტიკის საერთო რაოდენობა შეადგენს 610 საათს, ხოლო საწარმოო პრაქტიკა-150 საათს. პროგრამაში წერია, რომ სწავლის დასრულების შემდეგ ტარდება ტესტური გამოცდა 100 ქულიანი სისტემით, თუმცა პროგრამაში არ ჩანს და ნორმატიული დოკუმენტშიც ასახული არ არის შეფასების სისტემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N121/5 ბრძანების შესაბამისად. შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა არ შეესაბამება საქართველოს კანონს პროფესიული განათლების შესახებ, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს, პროფესიულ სტანდარტს და პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩამონათვალს.

1.2. რაც შეეხება სილაბუსებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო მხოლოდ ნაწილი სილაბუსების, მათ შორის არ იყო ინგლისური ენისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სილაბუსები. სილაბუსებშიც არ არის მოცემული კრედიტების განაწილება, მოცემულია მხოლოდ საათობრივი განაწილება.

1.3. საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) ვიზიტის დროს წარმოდგენილი არ ყოფილა.

1.4. სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობის, არაფორმალური განათლების აღიარების პროგრამის აღიარების წესი არ ყოფილა წარმოდგენილი.

1.5. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები არ ყოფილა წარმოდგენილი.

1.6. სასწავლებელს ვიზიტს დროისათვის არ ჰქონდა განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა.

#### 2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1. ა(ა)იპ ინდიგო ქ რუსთავში, მეგობრობის გამზ N15 მისამართზე სარგებლობს ფართით ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

2.2. ვიზიტის დროს ფართი რომლითაც დაწესებულება სარგებლობდა არ იყო უზრუნველყოფილი ექთნის თანაშემწის პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ინვენტარით.

2.3. დაწესებულება არ სარგებლობს კომუნალური მომსახურებით.

2.4. დაწესებულებას არ გააჩნია ბიბლიოთეკა.

2.5. დაწესებულების მფლობელობაშია 2 კომპიუტერი, ვიზიტის დროს სახეზე იყო ერთი კომპიუტერი. სასწავლო საქმიანობაში ICT ტექნოლოგიები არ გამოიყენება.

2.6. დაწესებულებაში საქმისწარმოება არ მიმდინარეობს.

2.7. დაწესებულებას არ გააჩნია ხანძართსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, პერსონალის ევაკუაციის, წესრიგის დაცვის მექანიზმები.

2.8. დაწესებულებას არ გააჩნია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;

2.9. დაწესებულების ვებგვერდზე ([www.indigo.org.ge](http://www.indigo.org.ge)) განთავსებულია ინფორმაცია არაკომერციული იურიდიული პირის საგრანტო პროექტების შესახებ, ვებგვერდი არ შეიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების შესაბამისი სტანდარტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

2.10. დაწესებულებას არა აქვს შემუშავებული და შესაბამისად ვერ წარმოადგინა მისიიდან გამომდინარე განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა საბჭოს განუმარტა, რომ აიპ „ინდიგოს“ წარმომადგენელი არ ესწრება სხდომას, ასევე, აღნიშნული დაწესებულების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია და ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახულ შენიშვნებთან დაკავშირებით.

საბჭომ იმსჯელა და გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოყვანილი შენიშვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აიპ - ინდიგოსათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ინდიგოს გაუუქმდეს ავტორიზაცია.



## 2.14. შპს „ინტელექტი“

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შეფასებებზე:

### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში

- 1.1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის განსაზღვრული პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. პროგრამა არ არის შედგენილი პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, არ არის განსაზღვრული სტუდენტთა შეფასების კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, არ არის წარმოდგენილი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). წარმოდგენილია სასწავლო გეგმები, სადაც მოცემულია თემათა დასახელება და საათები.
- 1.2. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი).
- 1.3. საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის მოცემული სწავლის შედეგები.
- 1.4. დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შერჩევისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.
- 1.5. დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.
- 1.6. დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა.

### 2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში

- 2.1. დაწესებულება განთავსებულია ქ. გურჯაანში რუსთაველის ქ. N13-ში მდებარე ორსართულიან შენობაში. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია საკანცელარიო მაღაზია, მეორე სართულზე განთავსებულია ერთი აუდიტორია და ადმინისტრაციის ერთი ოთახი. იგივე მისამართზე, ნახევრადსარდაფში განთავსებულია ორი ოთახი, ამათგან ერთი აუდიტორია.
  - 2.2. დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა ვერ დგინდება, ფართის საკუთრებაში ფლობა არ დასტურდება.
  - 2.3. სველი წერტილები განლაგებულია შენობის სარდაფში.
  - 2.4. დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის რაოდენობა ვერ დგინდება და საკუთრებაში ფლობა არ დასტურდება.
  - 2.5. დაწესებულებაში წარმოებს შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. გამოცემული ბრძანებების რეგისტრაცია არ ხდება, გამოცემული ბრძანებები ნაწერი და ბეჭდური სახით ინახება საქაღალდეში.
  - 2.6. გამოკრული არ არის ევაკუაციის გეგმა;
  - 2.7. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები შემუშავებული არ არის.
  - 2.8. დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის.
  - 2.9. დაწესებულებას არ აქვს ვებგვერდი.
  - 2.10. დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.
- ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა მოახსენა საბჭოს, რომ შპს „ინტელექტის“ წარმომადგენელი არ ესწრება სხდომას, ასევე, აღნიშნული დაწესებულების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია და ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახულ შენიშვნებთან დაკავშირებით.

საბჭომ იმსჯელა და გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოყვანილი შენიშვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ინტელექტისათვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ინტელექტს“ გაუუქმდეს ავტორიზაცია.

## 2.15. შპს - გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შეფასებებზე:

### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში

- 1.1. ბულალტრის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გამარტივებულია და სრულად არ მოიცავს პროფესიული სტანდარტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნას.
- 1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმაში პრაქტიკას ეთმობა დამოუკიდებელი საათები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 თებერვის №121 ბრძანებას.
- 1.3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს თან ახლავს შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამები.
- 1.4. სილაბუსებში დაფიქსირდა ხარვეზები, კბილის ტექნიკოსის და ექთნის თანაშემწის პროგრამების სილაბუსებში, რომლებიც სხვადასხვა საფეხურზე ისწავლება მიზნები, სწავლის შედეგები და თემის დასახელება იდენტურია.
- 1.5. პრაქტიკის სილაბუსებში არ რის მითითებული საათების რაოდენობა, არ აქვს პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა.

შპს - გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +-ის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა შესწორებული საგანმანათლებლო პროგრამები. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ცენტრის წარმომადგენელს მიმართა თხოვნით, შემოწმებულიყო აღნიშნული პროგრამების შესაბამისობა ავტორიზაციის დებულების მოთხოვნებთან.

პროგრამების შემოწმების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ასახული ხარვეზები აღმოფხვრილია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +-ისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

### საბჭომ გადაწყვიტა:

შპს - გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი +-სთვის ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება შეწყდეს.

## 2.16. შპს - აბაშის საგანმანათლებლო ცენტრი

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შეფასებებზე:

### 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში

- 1.1. დაწესებულება მიღევად რეჟიმში ახორციელებს 5 სასწავლო პროგრამას: მედდის საქმე; მდივან-რეფერენტი; ბუღალტერ-მოანგარიშე; ვებ-მედია ტექნოლოგიები; კბილის ტექნიკოსი. პროგრამებს სილაბუსები თან არ ახლავს.
- 1.2. დაწესებულებაში არ არსებობს პროგრამების აღწერილობა (კატალოგი).
- 1.3. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს.
- 1.4. დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესები.
- 1.5. დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების და მიღებული განათლების აღიარების წესები.

### 2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში

- 2.1. დაწესებულების სასწავლო ფართი სარემონტოა, სველი წერტილები არ ფუნქციონირებს, ექსპერტთა ვიზიტის დროს შენობაში შეწყვეტილი იყო წყალმომარაგება.
- 2.2. დაწესებულებაში არის წიგნების გარკვეული რაოდენობა, მაგრამ ვერ დადგინდა წიგნადი ფონდის რაოდენობა, რადგან არ წარმოებს საინვენტარო წიგნი და არ იქნა წარმოდგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, წიგნადი ფონდი საბიბლიოთეკო პრინციპით დამუშავებული არ არის, არ წარმოებს კატალოგი, არ არის შემუშავებული სარგებლობის წესები და მუშაობის განრიგი.
- 2.3. დაწესებულებას არ აქვს ვებგვერდი.

შპს - აბაშის საგანმანათლებლო ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სურვილია მიღევად რეჟიმში დაასრულოს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლება.

საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა დაინტერესებულ მხარეს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, დაწესებულების მიერ განხორციელებადი საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი მოხსნილი იქნება, თუმცა იმისათვის, რომ დაწესებულებას არ გაუუქმდეს ავტორიზაცია, აუცილებელია მისი მატერიალური რესურსების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სახელობო პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელების კონტინგენტი არ იყენებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, და შესაბამისად, მისთვის მიზანშეწონილი არ არის ვებ-გვერდის დამზადება, რაც შეეხება საბიბლიოთეკო რესურსებს, იგი შეგროვებულია სხვადასხვა წყაროებიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აბაშის საგანმანათლებლო ცენტრს ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 4


წინააღმდეგი - 1

განსხვავებული აზრი დააფიქსირა საბჭოს წევრმა, ნინო ძოწენიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულების რესურსების მდგომარეობის შეფასებისას გასათვალისწინებელია ის მოთხოვნები რომელსაც აღნიშნულ რესურსებს წაეყენებათ პროგრამის შესაბამისად.

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - აბაშას საგანმანათლებლო ცენტრს გაუუქმდეს ავტორიზაცია.

კახი ყურაშვილი  
თავმჯდომარე



გაიანე სიმონია  
მდივანი

